

მაია ცერცვაძე

Maia Tsertsvadze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანების
ურთიერთდამოკიდებულება და პოემა
„სადღეგრძელოს“ შექმნის ისტორია
(ახალი წყაროების საფუძველზე)

**The Relationship between Alexander and Grigol Orbelianis and
the Creation of the Poem „Sadgegrdzelo“ („Toast“)**
(according to new sources)

DOI: <https://doi.org/10.62119/r.45.2025.9978>

The House of Orbeliani, one of the most powerful and influential feudal nobility in Kartli, played a consistently significant role in the political, military, ecclesiastical, and social life of the region. In addition to holding high-ranking political positions – including military commanders, court dignitaries, household officials, judges, etc. -members of the Orbeliani family made substantial contributions to Georgian culture as writers, intellectuals, and scientists. The Orbelianis frequently appear in the artistic and non-fiction works of major Georgian writers and public figures, such as Nikoloz Baratashvili, Grigol Orbeliani, Alexander Chavchavadze, Alexander Orbeliani, Solomon Dodashvili, Platon Ioseliani and others. They are featured as characters, addressees and dedicatees in their diaries, personal letters, memoirs... As such, research into their biographies, activities, and creative legacies remains an important and timely area within the broader field of Georgian literary history.

The presented article is devoted to the study of the relationship between two great representatives of the Orbelian family, prominent figures of the 19th century, Georgian romantic writers Alexander (Puplia) Orbeliani (1802-1869) and Grigol Orbeliani (1804-1883), whose life and work have been thoroughly studied by Georgian literary scholars and historians (I. Meunargia, Ak. Gatserelia, J. Chumburidze, I. Evgenidze, R. Chkheidze, N. Vakhania, T. Jologua...), but our research is based on newly discovered archival materials and recently published scholarly editions. In particular, the re-

search draws on the five-volume academic edition of Aleksander Orbeliani's collected works (published in 2023), as well as the academic editions of Grigol Orbeliani's personal letters prepared within the framework of the multivolume of Epistolary Legacy of Georgian Writers and Public figures of the 19th–20th Centuries (2012–2024). These publications have made accessible and scientifically processed a substantial body of texts that had previously been available only in archives, thereby laying the foundation for new literary, historical, and cultural research.

With the presented research, we have tried to present various (familial, collegial, professional...) aspects of the relationship between two prominent Georgian writers and public figures of the same noble family of the 19th century, Aleksandre Orbeliani and Grigol Orbeliani. Although Aleksander Orbeliani was not a close friend of Grigol Orbeliani nor a frequent addressee of his personal letters, their relationship nonetheless reflects mutual respect, recognition, and trust, despite the ideological and biographical divergences that shaped their individual paths.

Special attention is given to their literary collaboration, particularly the history of the creation of Grigol Orbeliani's famous poem "Toast" (Sadghegrdzelo). The article also proposes a revised dating of one of Aleksander Orbeliani's personal letters, offering further insight into their intellectual and historical context.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ორბელიანი; ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედება; გრიგოლ ორბელიანი; გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“; გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება

Key words: Alexander Orbeliani; Literary Works of Alexander Orbeliani; Grigol Orbeliani; Grigol Orbeliani's 'Toast'; Literary Works of Grigol Orbeliani

*„ჩემო ძმაო სისხლ ხორცობით,
მხოლოდ ჩვენ ეს ორნი დავრჩენილვართ,
ორი ღერი ჩვენ, რომლებსაც ჩვენს ზეცის ვარსკვლავებსა წმინდას
თვალით უყურებთ და გულს სულსა მარად ვატრფობთ იმით,
მაგრამ დაღონებით, ნაღვლიანად!“*

ალ. ორბელიანის წერილიდან გრ. ორბელიანისადმი

„ძველთაგან დავჰმითით მე და შენ!..“
გრ. ორბელიანი. „თ. ალ. ვ. ორბელიანს“

ორბელიანთა უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალური სათავე-
დო მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართლის სამხედრო,
პოლიტიკურ, საეკლესიო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. გარდა პო-
ლიტიკური მოხელეებისა – მეწინავე სადროშოს სარდლების, სახლთ-
ხუზუცესების, ემიკადასბაშების, მდივანბეგებისა და სასულიერო
პირებისა, საქართველოს მან კულტურის მრავალი მოღვაწე – მწერალი
თუ მეცნიერი მოუვლინა. ორბელიანები არიან ქართველ მწერალთა და
საზოგადო მოღვაწეთა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავა-
ძე, ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი...) მხატვრულ და
არამხატვრულ თხზულებათა (დღიურების, პირადი წერილების, მემუ-
არების, ჩანაწერების...) ფიგურანტები, ადრესატები და მიმღვნის ობი-
ექტები. ამდენად მათი ბიოგრაფიების, ღვაწლისა თუ შემოქმედების
კვლევა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის აქტუალური
საკითხია და ემსახურება საზოგადოების ცოდნის გამდიდრებას ამ
მიმართულებით.

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება ორბელიანთა საგვარეულოს
ორი დიდი წარმომადგენლის, მე-19 საუკუნის თვალსაჩინო სახეების,
ქართველი რომანტიკოსების ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანისა
(1802-1869) და გრიგოლ ორბელიანის (1804-1883) ურთიერთდამოკი-
დებულების საკითხის კვლევას ახალგამოვლენილი წყაროებისა და
მასალების საფუძველზე. მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ალექ-
სანდრე ორბელიანის თხზულებათა აკადემიური ხუთტომეულის
(2023) და XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური
მემკვიდრეობის მრავალტომეულის ფარგლებში მომზადებული გრი-
გოლ ორბელიანის პირადი წერილების გამოცემები (2012-2024). ამ
გამოცემებმა ხელმისაწვდომი გახადა მანამდე მხოლოდ საარქივო სა-
ცავებში განთავსებული მათი ნაწერების უმრავლესობის მეცნიერუ-
ლად დამუშავებული და რედაქტირებული ტექსტები და საუკეთესო

წინაპირობა შექმნა ახალი ლიტერატურული, ისტორიული, კულტუროლოგიური და სხვა სახის კვლევებისათვის.

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები დედების მხრიდან ახლო ნათესავები და ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის შთამომავლები არიან – პირველი მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) შვილიშვილია, თეკლე ბატონიშვილის (1776-1846) უფროსი ვაჟი, ხოლო მეორე – შვილთაშვილი, ელენე ბატონიშვილის (1753-1786) ქალის ხორეშანის (1786-1833) უფროსი ვაჟი (ტაბ. 1). ასე რომ, ალექსანდრე გრიგოლს ბიძად ეკუთვნის, როგორც დედის დეიდაშვილი.

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები ამავდროულად ერთი გვარის შვილებიც არიან და ჰყავთ საერთო წინაპარი - XVI საუკუნის დასაწყისის მოღვაწე ყაფლანი (?-1671), რომლის სახელის მიხედვით ორბელიანები ყაფლანიშვილებადაც იწოდებიან. ამასთან, ისინი მის სხვადასხვა და იმდენად დაშორებულ შტოებს (ვახტანგის სახლი და ასლანის სახლი) მიეკუთვნებიან, რომ მამის ხაზით მეტად შორეულ ნათესავებად თუ ჩაითვლებიან (ტაბ. 2).

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანების დამსახურება განსხვავებულად არის გააზრებული და შეფასებული ქართულ ლიტერატურისმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში. ალ. ორბელიანი როგორც თანამედროვეების, ისე შთამომავლების მიერ უპირობოდ არის მიჩნეული მრავალმხრივ მოღვაწედ, დიდ პატრიოტად, მტერთან შეურიგებელ, ქვეყნისთვის თავდადებულ და გულმტკიცუნეულ ადამიანად, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში თითქმის არ უმსახურია. გავიხსენოთ თუნდაც აკაკისეული მისი შეფასება:

„ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველო... პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა... ის ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა. ეს მისი ნაწერებიდანაც სჩანს... ბევრი რამ დარჩა ნაწერი“ (წერეთელი, 2015, გვ. 94-95).

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, ქვეყნის წინაშე მის უდავო დამსახურებებთან ერთად იმ ლიტერატურულ-ისტორიულ დისკურსში, რომელიც სათავეს თერგდალეულთა შეფასებებსა და შემოქმედებაში (ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის პოეზია და პუბლიცისტიკა...) იღებს და დღემდე გრძელდება, მის მიმართ ხშირად გაისმის ისეთი

დამუნათებები და ერთგვარი ბრალდებები, როგორებიცაა ქართველთა სახელმწიფოებრიობის გამაუქმებელი რუსული ხელისუფლების დამცველობა და მისი დამპყრობლური ომებისა და სამთავრობო-სადამსჯელო ოპერაციების სარდლობა და მეთაურობა, ლოიალური დამოკიდებულება რუსეთის იმპერატორებსა და რუს დიდმოხელეებთან, პიროვნული გაორება, რაც მის პოეზიაშიც გამოიხატა, 1860-იან წლებში გამართულ ცნობილ, ე. წ. ძველსა და ახალ თაობას შორის გამართული პოლემიკაში „კონსერვატორებად“ წოდებული „მამათა“ ბანაკის თავკაცობა და სხვ.

ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ დიდმა სამოციანელებმა გამოსათხოვარ სიტყვებში საგანგებოდ აღნიშნეს გრ. ორბელიანის დამსახურება და აღმატებული ეპითეტებით წარმოაჩინეს ის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის ღრმა ურთიერთპატივისცემა. ილია დიდად აფასებდა და აღიარებდა გრიგოლის პოეტურ ნიჭსა და ღვაწლს, რაც მან მკაფიოდ გამოთქვა თავის წერილებში: „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ და „იონა მეუნარგიას მომავალი ლექციები გრიგოლ ორბელიანზე (მინაშვილი, 2009, გვ. 71-91).

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანების ცხოვრება და შემოქმედება საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართველი ლიტერატურისმცოდნეებისა და ისტორიკოსების (ი. მეუნარგია, აკ. გაწერელია, ჯ. ჭუმბურიძე, ი. ევგენიძე, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია, თ. ჯოლოგუა...) მიერ. ამიტომ ზემოაღნიშნული დისკურსის კონტექსტში, ვფიქრობთ, საყურადღებოა წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ფოკუსირებულია მათი ურთიერთთადამოკიდებულების, ურთიერთშეფასების, მიმოწერისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის ასპექტებზე, რაც, ცხადია, დასახელებულ მკვლევართა შრომის გაგრძელებასაც წარმოადგენს.

ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები თითქმის თანამოასაკენი არიან. მათ ერთდროულად უხდებათ ცხოვრება უმძიმეს ეპოქაში – რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიზებულ საქართველოში. ორივენი მონაწილეობენ ანტიიმპერიულ, 1832 წლის შეთქმულებაში. ალ. ორბელიანი, როგორც ცნობილია, შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურად მიიჩნევა. შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ იგი მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-2 კატეგორიას („შეთქმულების წამქეზებელნი, რომლებიც ხალხს აღაგზნებდნენ შეთქმულებისათვისა და თვით აჯანყებისათვის“) და სასჯელის სახით ორენბურგში გადასახლება და სამხედრო

სამსახური განუსაზღვრა. სამშობლოში ის გათავისუფლების შემდეგ, 1840 წლის მარტში დაბრუნდა.

გრ. ორბელიანი 1832 წლის შეთქმულებაში აქტიურად და ფიზიკურად ვერ მონაწილეობდა, რადგან იმ დროს რუსეთში იმყოფებოდა. საქართველოდან ის 1831 წლის ივნისის დასაწყისში გაემგზავრა, მაგრამ აქ მოქმედ საიდუმლო ორგანიზაციასთან კავშირი არ გაუწყვეტია. გრ. ორბელიანი დააპატიმრეს ნოვგოროდში 1833 წლის თებერვალში და პეტერბურგში გაგზავნეს, შემდეგ მალევე თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა შეთქმულებთან ერთად ავლაზრის ყაზარმებში, მისივე თქმით, იმ საკნის მეზობელ საკანში დაამწყვდიეს, სადაც ალექსანდრე ორბელიანი იჯდა. მას აშკარა დანაშაული არ დაუმტკიცდა, მე-7 კატეგორიის მცირე დამნაშავედ მიიჩნიეს, საქმის საბოლოო გამოძიების დასრულებამდე, სამთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს და ასეთი სასჯელად დაუდგინეს: „გრენადერთა ქართული რაზმის პორუჩიკი თ. გრიგოლ ორბელიანოვი გადაყვანილ იქნას პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით“ (გოზალიშვილი, 1935, გვ. 496). იგი ჯერ „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში გაგზავნეს, 1833 წლის მიწურულს კი გაამწყესეს ნევის საზღვაო პოლკში რიგაში და შემდეგ ვილნოში (დღევანდელი ვილნიუსი). 1838 წლიდან ის უკვე საქართველოშია და გრენადერთა პოლკში მსახურობს.

საგამოძიებო კომისიისათვის მიცემულ ალ. ორბელიანის ჩვენებებში ვხვდებით ცნობებს გრ. ორბელიანის შეთქმულებაში მონაწილეობის ხარისხის შესახებ, რაც გამოიხატა ძირითადად პროპაგანდისტული ლიტერატურის შექმნაში, ზოგიერთ პირთან შეთქმულების განდობასა და რუსეთში მყოფ ქართველ შეთქმულებთან ურთიერთობაში. გავეცნოთ ალ. ორბელიანის რამდენიმე ჩვენებას:

1832 წლის 23 დეკემბერს ალ. ორბელიანმა კომისიას განუცხადა: „მარშან ჩემს სახლში პოდპორუჩუკმა, თავადმა ელიზბარ ერისთოვმა, ჩვენი განზრახვა გამოუცხადა გრენადერთა ქართული რაზმის პორუჩიკს, თავად გრიგოლ ორბელიანოვს, მაგრამ იგი ამტკიცებდა ამ საქმის შეუძლებლობას და არ დაგვეთანხმა“ (ორბელიანი, 2023გ, გვ. 49). აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საგამომძიებლო კომისიის წინაშე ბრალდებულნი ხშირად ცრუობენ მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილებისა თუ შემსუბუქების მიზნით.

განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება ალ. ორბელიანის 1833 წლის 1 მარტის ჩვენება, სადაც ლაპარაკია გრიგოლის მიერ რუსი

დეკაბრისტი პოეტის კონდრატი რილეევის (1795-1826) პოემის „ნალივაიკოს“ ფრაგმენტის თარგმნაზე:

„თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მისცა რილეევის სტიხი გრიგოლ ორბელიანოვს სათარგმნელად ქართულად, **ნეგავარი ატეც სვიატოისა** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – მ. ც.), რომელიც თარგმნა ქართულად სტიხადვე, და ერთ ღამეს გრიგოლთან ვიყავით, და გვითხრა: ის სტიხი ვთარგმნეო, რომელიც წაგვიკითხა, და წაკითხვის შემდეგ წამოხტა ელიზბარ, და აკოცა და კარგად გითარგმნაო. შემდეგ ჩვენც ყველამ ვაკოცეთ“ (ორბელიანი, 2023ა, გვ. 100).

იმავე ცნობებს ალ. ორბელიანის 1833 წლის 7 ივლისის ჩვენებაშიც ვხვდებით, რომელშიც გრ. ორბელიანის ის დაპირებაცაა ნახსენები, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის (1786-1846) შეთქმულების განხორახვის განდობას გულისხმობს:

„პორუჩიკის, თავადის გრიგოლ ორბელიანოვის გარემოებას ეხლა მოვახსენებ კომისიას ვითარცა მახსოვს... მე ვთქვი: ძალიან კარგი იქნება, რომ თავადს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთხრას ვინმემ ესე თქვენი ლაპარაკიმეთქი, ვნახოთ ის რას იტყვისმეთქი. – მასკვან გრიგოლმა იკისრა: მე ვეტყვიო. ამით კიდევ წავიდნენ ჩემგანით... მასკვან აღარ ვიცი, ის სტიხი რა უყვეს. – ამაზე მეტი პორუჩიკის თავადის გრიგოლ ორბელიანოვისა მე სხვა არარაი არა ვიცირა“ (ორბელიანი, 2023გ, გვ. 183-184).

აქ ნახსენებ „სტიხშიც“ (*Стих – რუს. ლექსი*) იგულისხმება კ. რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ – XVI საუკუნის უკრაინელ კაზაკთა ანტიფეოდალური აჯანყების მეთაურის აღსარება. როგორც ცნობილია, გრ. ორბელიანმა ეს პატრიოტული და თავისუფლების სულისკვეთების გამომხატველი ლექსი შეთქმულების ლიტერატურული აგიტაციის პროპაგანდის მიზნით გადმოაკეთა, სახელად „გივი ამილახვრის აღსარება“ უწოდა და ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გადასცა შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურს სოლომონ დოდაშვილს (1805-1836), რომლის ქაღალდებშიც იპოვა იგი სწორედ საგამოძიებო კომისიამ.

წარმოდგენილი ჩვენებების გარდა, მნიშვნელოვანია ალ. ორბელიანის ის ტექსტები, რომლებშიც დახასიათებულია გრ. ორბელიანი და მისი ძმები და ხაზგასმულია მათი პიროვნული თვისებები.

1845 წლის ოქტომბრით დათარიღებულ თავისი საგვარეულოსა და სანათესაოსადმი მიძღვნილ თხზულებაში: „ყაფლანიდგან ჯამბაკურიანნი ორბელიანნი“ ალ. ორბელიანი ასე იხსენებს მათ:

„ზურაბს (იგულისხმება გრ. ორბელიანის მამა ზურაბ ორბელიანი (1766-1827) – მ. ც.) დარჩა ეგრეთვე სამნი ძენი, გრიგოლ, ზაქარია და ილია. სამნივე რუსეთის სამხედროში იმსახურებინან. გრიგოლ არის პოდპოლკოვნიკი, ზაქარია სრული პოლკოვნიკი და ილია შტაბსკაპიტანი. სამნივე ესენი ერთიმეორეზე უკეთესები არიან კაცობითაც და ჭკუითაც და თავიანთი სამსახურით და თუ რომ განაგრძეს სამსახური იმათ, დიდ ღირსებაში შევლენ სამნივე“ (ორბელიანი, 2023ბ, გვ. 318).

მემუარული ხასიათის თხზულებაში „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“, რომელიც 1860-იანი წლებით თარიღდება, იხსენებს რა რუსული მმართველობისგან თავისი დევნისა და ამ დევნაში მოღალატე და კოლაბორაციონისტი თანამემამულეების მონაწილეობას, ალ. ორბელიანი გამოთქვამს მადლიერებას გრ. ორბელიანის მიერ აღმოჩენილი თანადგომის გამო. სავარაუდოდ, ეს არის 1859-1865 წლები, როცა გრ. ორბელიანი უკვე სამოქალაქო სამსახურში იმყოფებოდა – იყო კავკასიის სამეფისნაცვლოს საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის გენერალ-გუბერნატორი და კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც ასრულებდა:

„ადრე ვარანცოვიდგან მოკიდებული, ვიდრე ბარატინსკის წასვლამდისინ, თუმცა მაფთხილებდნენ, მაგრამ მაინც კიდევ მოსვენებული არ ვიყავ: რა ვიცი არ დამიჭირონ-მეთქი? – ბევრჯელ ღამე ამ ფიქრში წავიდოდი ძილის დროსა და ამ ფიქრით გავათენებდი. ამისთვის, რომ ჩემი თავისათვის კი არ ვშიშობდი – ვშიშობდი საქართუელოსთვისა. მზრუნველი აღარავინ აღარ იქნებოდა პატრიოტი და თუ იყვნენ ვინმე, ისინიც ჩემს უბედურებასთან გაჰქრებოდნენ, სადაც ამ გრიგოლის დროსა სრულიად მოვისვენე ამიტომ, რომ რაც უნდა ყოფილიყო, ჩემი ახლო სისხლიხორცი ნათესავი იყო და ნამდვილი ქართუელიც...

...ეს გრიგოლ ბევრის სამსახურების შემდგომ, აქ ტფილისში ღენერალ-ლუბენატორათ დასუა ბარატინსკიმ და კარგა ხანი მართავდა ამ თანამდებობას ველიკი კნიაზის მიხეილ ნიკოლაიჩის დროშიაც.

...გრიგოლ მშვიდობისმყოფელი გაუბედავი კაცი იყო, ზაქარია ენერგიით სამსე გამბედეული და ილია უფრო ყიზილბაშური, რომლებიც სამნივ ესენი კეთილები იყვნენ, კარგი ქართველებიც და სამნივ პატივის მოყუარულები.

გრიგოლს თავის გაუბედაობით, მთავრობაზედ მაგდენი გავლენა არა ჰქონდა რა, ზაქარია თავის პირდაპირის ენერგიის გამო აქ არ დააყენეს, შურისაკენ მისცეს პოლკი და ილია თავის ყიზილბაშურის ხასიათით, რასაც უნდა, იმას არიგებდა ვარანცოვთან, ასეთი ძალა ჰქონდა იმაზედ“ (ორბელიანი, 2023ა, გვ. 106-107).

განსაკუთრებით საყურადღებოა ალ. ორბელიანისა და გრ. ორბელიანის ის პირადი მიმოწერა, რომლის დიდი ნაწილი უკავშირდება და ეხება გრ. ორბელიანის პოემის „სადღეგრძელოს“ შექმნის ისტორიას. როგორც ცნობილია, პოემა, რომელიც მისმა ავტორმა ალ. ორბელიანს უძღვნა, პირველად 1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნდა სათაურით: „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ და წამდვარებული მიძღვნილი სტროფით: „თ. ალ. ვ. ორბელიანს“ (სურ. 1, 2). პოემის შემდგომ გამოცემებს უმთავრესად ტექსტის ბოლოს ერთვის ალ. ორბელიანისათვის მიძღვნილი სამსტროფიანი ლექსი: „თ. ალექსანდრე ვახტანგისძეს ორბელიანს“ (ორბელიანი, 1989, გვ. 438-439).

ალ. და გრ. ორბელიანების სულიერ სიახლოვესა და თანაზიარობაზე მიუთითებს გრიგოლის ალექსანდრესთან 1867 წლის 1 მარტს გაგზავნილი წერილის ტექსტი, სადაც ის ადრესატს უზიარებს თავის დიდ წუხილსა და გულისტკივილს ცნობილი ისტორიკოსის, პეტერბურგში გამოცემული მნიშვნელოვანი ხუთტომეულის: „საქართველოს ისტორია“ ავტორის, სულხან (ტიხონ) ბარათაშვილის (1821-1866) სოხუმში ტრაგიკული დაღუპვის გამო (მ. ცერცვაძე, 2019, გვ. 105) და აცნობებს, რომ უგზავნის თანხას გადაცვლილის ქვრივისთვის გადასაცემად:

„ტიხონს ვიცნობდი მე კარგად; მას უდროოდ დამიწებულსა, თავდადებით უყუარდა საქართველო, რომლისა ისტორიას შეჰსწირა თავისი სიცოცხლე; მოკუდა საქართველოს ისტორიკოსი და საქართველომ ვერცკი გაიგო სიკუდილი მისი!. სამწუხაროა, ესრეთი უმაღლო მხვედრი კაცისა“ (XIX-XX საუკუნეების... 2018, გვ. 213).

ამავე წერილში გრიგოლი შესჩივის ალექსანდრეს თავის ავად-
მყოფობა-დაუძლურებას და სოფლის სამდურავს შემდეგი სტროფით
გამოხატავს:

„ამა სოფლისგან რას ველი? რა მიხარია, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ძლივსჰლა ვჰგრძნობ, რაც მიყუარდა!
დღე ყოველ, ჟამი ყოველი, მაკლებს რასამე კეთილსა,
ვჰმზერ უიმედოდ მომავალს და ვჰსწყევლი ფუჰად წარსულსა!“
(XIX-XX საუკუნეების... 2018, გვ. 213)

მოყვანილი წერილის პირველი პუბლიკატორის, ლ. მეფარიშვი-
ლის მართებული დაკვირვებით, ეს ჩართული სტროფი თავდაპირვე-
ლი ვარიანტია ზემოხსენებული მიძღვნილი ლექსის მესამე, ბოლო
სტროფისა (შდრ. „ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარია, რა მინდა?
/ რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ; ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა! / დღე ყო-
ველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა, / ვჰმზერ მწუხარებით
მომავალს და ვჰსწყევლი ფუჰად წარსულსა!“) და სავარაუდოა, რომ
იგი არა 1870 წელს, როგორც ეს არასწორად იყო მიჩნეული ერთი
ავტოგრაფის საფუძველზე, არამედ წერილის თარიღის, ე. ი. 1867 წლის
1 მარტისთვის, უკვე შეთხზულია (მეფარიშვილი, 1941, გვ. 202-203).

თვალი გავადევნოთ გრ. ორბელიანის 1869 წლის სამ წერილს,
რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს პოემა „სადღეგრძელოს“ შექმნის
ეტაპებზე. როგორც ცნობილია, მისი წერა გრ. ორბელიანმა 1827 წელს,
გენერალ პასკევიჩის (1782-1856) სარდლობით ერევნის აღების კვალ-
დაკვალ დაიწყო, შემდეგ რამდენჯერმე მიუბრუნდა მას და 1870 წლის-
თვის დაასრულა. პოემის საბოლოო ვარიანტი შენიშვნებითურთ, რო-
გორც ეს ამ წერილებიდანაც ირკვევა, მან ალ. ორბელიანის, როგორც
საქართველოს ისტორიისა და ძველი ამბების საუკეთესო მცოდნე ადა-
მიანის დახმარებით შექმნა – წერილებში გრიგოლი ალექსანდრეს პო-
ემის სხვადასხვა თავების რეცენზირებას, კონსულტანტობასა და კო-
მენტატორობას სთხოვს. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა სამივე წე-
რილისა ერთნაირია: „ჩემო ბატონო, ბიძიავ ალექსანდრე!“, ხოლო ხელ-
მოწერილია შემდეგნაირად: „შენი მარადის ერთგული და პატივისმცე-
მელი თ. გრიგოლ ორბელიანი“; „შენი მარადის მორჩილი და ერთგუ-
ლი თ. გრიგოლ ორბელიანი“; „შენი ერთგული გრიგოლ ორბელიანი“.

გავყვეთ მათ ქრონოლოგიურად:

1. **1869 წლის 5 იანვრის წერილი:** „მომირთმევია ჩემი ტოლუბაში („ტოლუბაში“ პოემის თავდაპირველი სახელწოდებაა – მ. ც.), პირველი თავი, გთხოვ კარგად გადავლოთ თვალი, და რაც არ მოგეწონოს, წაშალო, და გამომიგზავნე, რომ მეორე თავს ხელი მივჭყო“ (XIX-XX საუკუნეების... 2018, გვ. 213).

2. **1869 წლის 25 თებერვლის წერილი:** „მომირთმევია უწინდელი ტოლუბაში ახლა სახელ-გადაცულილი; წაიკითხეთ და ისევ მალე მიბოძეთ თქუზნის სხუა და სხუა ზედ-მიწერიტა“ (XIX-XX საუკუნეების... (2018). გვ. 216). წერილთან ერთად უგზავნის უკვე „სადღეგრძელოდ“ წოდებულ პოემას.

3. **1869 წლის 18 ოქტომბრის წერილი:**

„პავლემ ჰსთქუა „რაც დავჰსწერე, დავჰსწერე“ მეცა მოგახსენებ, რაც შემემლო, ის შევიძელ. – კარგია და გავათავოთ! ნუღარ შემიყუან განსაცდელში სხუა და სხუა მოთხრობებით საქართველოზე. ჩუჭნი ისტორია სავსეა დიდსაქმეებით, დიდმამაცობით და მამულისათვს თავდადებით საყუარულითა. ყოველთა ამათთვს დიდი მწერლობა უნდა და მას მწერალსაცა „საწერელი ზღუა უნდა“¹ და მე კოდაზე პატარა წყაროს მეტი არა მაქუს. მომირთმევია შენი რვეული, რომელშიაცა ჩაუმატე შენგან ნათქუამი სახელები, და სხოლიოებში შენ თვთონ განმარტე, ვინცა არიან იგინი (XIX-XX საუკუნეების... 2018, გვ. 246).

დამოწმებული წერილების ტექსტებიდან ნათლად ჩანს, რომ 1869 წელს გრიგოლსა და ალექსანდრეს შორის ინტენსიური შემოქმედებითი თანამშრომლობა მიმდინარეობს „სადღეგრძელოს“ ტექსტზე, შენიშვნებსა და კომენტარებზე და იგი საბოლოო სახეს იღებს.

გვინდა შევეხოთ აგრეთვე ალ. ორბელიანის უთარილო, ვფიქრობთ, უკანასკნელ წერილს გრიგოლისადმი, რომელშიც ასევე პოემის შესახებ არის საუბარი და შევეცადოთ მისი დათარიღების დაზუსტებას. ეს წერილი, რომლის ადრესატისადმი დიდი სიყვარულისა და სიტბოს გამომხატველი ერთი აზზაციც ჩვენ გამოკვლევას ეპიგრაფად წავუმძღვარეთ, უკვე სნეულ ალექსანდრეს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, თავისი ქალიშვილის დარიას (დარიკოს) (1828-1884) ხე-

¹ „საწერელი ზღუა უნდა“ – ციტატა საიათნოვას ლექსიდან: „მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო!“, „შენსა ქებასა საწერელი ზღუა უნდა, / შენს შემხედავს თავში რაღა ჭკვა უნდა!“

ლით მიუწერია და გაუგზავნია გრიგოლისთვის, რის გამოც პატიებას სთხოვს. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „*ჩემს გულითად ძმას თავადს გრიგოლ ჯ. ორბელიანს!*“ და ხელმოწერა: „*ჩემის გულით შეწირული თქვენი ძმა ბებიდაშვილი – ალექსანდრე ორბელიანი*“, ასევე წერილის ტექსტი ამჟღავნებს მისადმი დიდ პატივისცემას და მოწიწებას, მისი პოეტური ნიჭის აღიარებას.

„შენ ჩვენო და ჩვენზედ უხილაო მოქმედო ბედო, ამ შენს ერსა შორის ამთენს საკურველს ღირს სახსოვარს ნიჭებს რომ დაჰბადებ! ამაოებისათვის თუ არსებობისათვის? თუ ჩამჩურჩულებ ყურში: ყოველი ამაოაო, მეც მოგიგებ: არა ამაო, არამედ გონების მოქმედი ძალი შენს ერში გაბნეული უხვად!.. და თუ ამას არ ჩამჩურჩულებ და ჩამჩურჩულებ: არსებობისათვისაო, როგორ არსებობისთვისა? ჩვენო ბედო, ამ სიტყვასთანავე მაშ პირზედ ხელი რაღათ დამაფარე? პირზედ ხელის დაფარებას ვილა დაიჩვილებს, ეგ შენი დიდი მძიმე კლიტე პირზედ რომ დამადე, რომელმანცა ვაი გამაჩუმა, გული მიკვნესის, ძლივს ვანბობ ამას. რას მეტყვი ამისთვისა? „არა, ვეღარაფერს“... (ორბელიანი, 2023გ, გვ. 279).

წერილის ბოლოს ალ. ორბელიანი გამოთქვამს აზრს იმაზე, რომ საქართველოს ისტორიის მრავალი ამბიდან საკმარისია იმათი ჩართვა პოემაში, რომელზეც შეთანხმდნენ და ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს გრ. ორბელიანის ნაკალმევს:

„ჩვენი ძველი ანბები ბევრი ბევრეული არის, ნამეტნავათ მეფის ირაკლის ანბები!.. რომელს ქვას და კლდესა ხელს მოგვიდებთ, თუ ენა ქონდესთ აუარებელს იმ ანბებისას მოგვითხრობდნენ, მაგრამ ეს რომ არ იქნება, მაშ ის ვიკმაროთ დიდის მადლობითა, რომლებიც გამოთქვით მაგ წარჩინებულს მაღალს თქვენს ლექს მგოსნობაში!“ (ორბელიანი, 2023გ, გვ. 566-567).

ალ. ორბელიანის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (2023), სადაც პირველად დაიბეჭდა ეს წერილი, ადრესანტის მიერ საკუთარი მძიმე ავადმყოფობის ფაქტის ხსენებაზე დაყრდნობით („*შენი ჭირიმე კნიაზო გრიგოლ, ბოდიშს ვითხოვ, რომ ჩემის ხელით ვერა გწერთ, რადგანაც შეუძლოთ გახლავართ*“) დათარიღებულია 1860-იანი წლებით (ორბელიანი, 2023გ, გვ. 566). გრ. ორბელიანის ზემოთ განხილუ-

ლი სამი წერილის ტექსტთან მისი შეჯერებისა და ბოლო აზრის ხაზგასმული ნაწილის გათვალისწინების საფუძველზე, რომელიც ალ. ორბელიანის დასკვნით სიტყვად ჩანს „სადღეგრძელოზე“ ადრესანტ-ადრესატის ერთობლივ მუშაობაზე, ვფიქრობთ, შესაძლებელია ის დათარიღდეს, 1869 წლის 18 ოქტომბრიდან 9 დეკემბრამდე, ალ. ორბელიანის გარდაცვალების დღემდე (ჩიქოვანი, 2012, გვ. 12) დროის შუალედით.

გრ. ორბელიანისავე სიტყვით, „იმისათვის, რომ კარტინა სრულ იყოს“, აქვე გვინდა „სადღეგრძელოს“ ერთ ყბადაღებულ მონაკვეთთან დაკავშირებით მის ავტორზე აკაკის ნათქვამიც გავიხსენოთ: *„ჟუკოვსკის (რუსი რომანტიკოსი პოეტი ვასილი ჟუკოვსკი (1783-1852) – მ. ც.) მიბადებით მან დასწერა „სადღეგრძელო“. რუსების დროს ეტრფის და ნიკოლოზ პირველი ცამდის აჰყავს. სანამ ალექსანდრე ორბელიანი ცოცხალი იყო, ნიკოლოზის მუნასიბი გამოტოვებული ჰქონდა და მერე კი ისიც შეიტანა მთელ პოემაში“* (წერეთელი, 2015, გვ.105).

ალ. ორბელიანის სიკვდილის ამბავს მალევე, 18 დეკემბერს გრ. ორბელიანი მოსკოვში მყოფ თავის რძალს ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანს (1831-1884) დიდი გულისტკივილით ატყობინებს წერილით, რომლის ტექსტი ნათლად წარმოაჩენს მის ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს ძვირფასი გარდაცვლილი ნათესავისა და ქვეყნის მტრებთან ესოდენ შეურიგებელი და უკომპრომისო მოღვაწისადმი:

„აქ ჩვენ ახალი მწუხარება გვაქვს, ახალი დატირება, საბრალო ალექსანდრე, პუპლია გარდაიცვალა ციებ-ცხელების ორი პარაქსიზმის შემდეგ, ჩუმად, უშფოთველად. ცოტანილა შთებიან ძველი დროის იმ პატიოსან, მართალ, თავისებურ ქართველთაგან, რომელნიც არ ჰღალატობდნენ თავის პრინციპებს ყოვლად მტრულ გარემოებებში. ესრეთი იყო ალექსანდრეცა: ცხოვრობდა სიმართლით, გარდაიცვალა ქრისტიანად...“ (XIX-XX საუკუნეების... 2018, გვ. 269).

წარმოდგენილი კვლევით ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა მე-19 საუკუნის ერთი გვარის ორი თვალსაჩინო ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ორბელიანისა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობის სხვადასხვა (ნათესაური, მეგობრული, მოღვაწეობრივი, შემოქმედებითი ...) ასპექტები. ალ. ორბელიანი არ ყოფილა გრ. ორბელიანის ახლო მეგობარი, არც მისი მრავალრიცხოვანი პირა-

დი წერილების ხშირი ადრესატი. მათ დამოკიდებულებაში საცნაურია ერთგვარი დისტანცია. მიუხედავად ამისა და საკუთარი არჩევანითა თუ ბედისწერით განსაზღვრული განსხვავებული ცხოვრების გზები-სა, მათ შორის ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის ანგარიშგაწევის, დაფასების და აღიარების მრავლისმთქმელი სურათი იხატება.

ამავე კონტექსტში განვიხილეთ ქართული ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ტექსტის შექმნის ისტორია, ეტაპები და პერიპეტიები, როგორიც გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოა“. დავაზუსტეთ ასევე ალ. ორბელიანის ერთი პირადი წერილის დაწერის თარიღი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (2018): ტ. VIII. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VII). ქ. გიგაშვილის და მ. ნინიძის რედაქციით, თბილისი: „უნივერსალი“.
- გოზალიშვილი, გ. (1935). 1832 წლის შეთქმულება. ტ. 1. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გოზალიშვილი, გ. (1970). 1832 წლის შეთქმულება. ტ. 2. თბილისი: „მერანი“.
- გოზალიშვილი, გ. (1976). 1832 წლის შეთქმულება. ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე (2020). მასა-ლის შემდგენლები: მაია ნინიძე, საბა მეტრეველი, თეა თვალავაძე, ესმა მანია, ავთანდილ უჯმაჯურიძე. file:///C:/Users/user/Downloads/GrigolOrbelianiscxovrebisaDaShemoqmedebisMatiane%20(6).pdf
- ევგენიძე, ი. (1995). გრიგოლ ორბელიანი. თბილისი: „მერიდიანი“.
- ვახანია, ნ. (2012). ჩვენი XIX საუკუნე: ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- მეუნარგია, ი. (2010). ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა. თხზუ-ლებანი. ტ. I. თბილისი: „ნაკადული“.
- მეფარიშვილი, ლ. (1941) გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებე-ლი წერილის შესახებ. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სა-ხელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრე-ბული, წიგნი პირველი, ბათუმი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.
- მინაშვილი, ვ. (2009). გრიგოლ ორბელიანთან ილია ჭავჭავაძის მიმართე-ბისათვის. წიგნში ლ. მინაშვილი. „ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ორბელიანი, ა. (2023ა). თხზულებანი. ტ. III. დოკუმენტური პროზა, ისტო-რიული წერილები, 1844-1869. თბილისი: „გამომცემლობა სამშობლო“.


- ორბელიანი, ა. (2023ბ). თხზულებანი. ტ. IV. ჩვენებები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, სხვადასხვა. თბილისი: „გამომცემლობა სამშობლო“.
- ორბელიანი, ა. (2023გ). თხზულებანი. ტ. V. ჩვენებები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, სხვადასხვა. თბილისი: „გამომცემლობა სამშობლო“.
- ორბელიანი, გ. (1989). საღამო გამოსაღმებისა. აკაკი გაწერელის და ჯუმბერ ჭუმბურიძის რედაქციით, შესავალი წერილებით, შენიშვნებითა და კომენტარებით. თბილისი: „მერანი“.
- ჩიკოვანი, ი. (2012). თავად ორბელიანთა საგვარეულო.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf.
- ცერცვაძე, მ. (2019). XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი), თბილისი: „მერიდიანი“.
- წერეთელი, ა. (2015). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.

References:


- IX-XX Sauc'unebis Kartvel Mts'eralta Ep'ist'oluri Memk'vidreoba. (2018): t'. VIII. Grigol Orbeliani (nats'ili VII). K. Gigashvilis da M. Ninidzis Redaktsiit, [Epistolary Heritage of Georgian Writers of the 19th-20th Centuries. Vol. VIII. Grigol Orbeliani (Part VII). Edited by K. Gigashvili and M. Ninidze]. Tbilisi: "Universali".
- Chikovani, I. (2012). Tavad Orbelianta Sagvareulo.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.pdf [Chikovani, I. (2012) Principality of Orbeliani].
- Gozalishvili, G (1935). 1832 Ts'lis Shetkmuleba. t'. 1. [The Conspiracy of 1832. Vol. 1]. T'pili: Sakhelmts'ipo Universit'et'is Gamomtsemloba.
- Gozalishvili, G. (1970). 1832 Ts'lis Shetkmuleba. t'. 2. [The Conspiracy of 1832. Vol. 2.]. Tbilisi: „Merani“.
- Gozalishvili, G. (1976). 1832 Ts'lis Shetkmuleba. t'. 3. [The Conspiracy of 1832. Vol. 3]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“
- Grigol Orbelianis Tskhovrebisa Da Shemokmedebis Mat'iane (2020). Masalis Shemdgenlebi: Maia Ninidze, Saba Met'reveli, Tea Tvalavadze, Esma Mania, Avtandil Ujmajuridze.
[file:///C:/Users/user/Downloads/GrigolOrbelianiscxovrevisaDaShemoqmedebisMatiane%20\(6\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/GrigolOrbelianiscxovrevisaDaShemoqmedebisMatiane%20(6).pdf) [Chronicle of Grigol Orbeliani's Life and Creativity (2020). Compiled by: Maia Ninidze, Saba Met'reveli, Tea Tvalavadze, Esma Mania, Avtandil Ujmajuridze].

- Evgenidze, I. (1995). Grigol Orbeliani. [Grigol Orbeliani]. Tbilisi: „Meridiani“.
- Meunargia, I. (2010). Tskhovreba Da Ghvats’li Grigol Orbelianisa. Tkhzulebani. t’. I. [Life and Contributions of Grigol Orbeliani. Works. Vol. I]. Tbilisi: „Nak’aduli“.
- Meparishvili, L. (1941) Grigol Orbelianis Zogierti Gamoukveq’nebeli Ts’erilis She-sakheb. Shota Rustavelis Sakhelobis Batumis Sakhelmts’ipo Samasts’avleblo Inst’it’ut’is Sametsniero Shromebis K’rebuli, Tts’igni P’irveli, [On Some Unpublished Letters of Grigol Orbeliani. Collection of Scientific Works of Shota Rustaveli Batumi State Pedagogical Institute, Book One]. Batumi: Ach’aris Sakhelmts’ipo Gamomtsemloba.
- Minashvili, V. (2009). Grigol Oorbeltiantan Ilia Ch’avch’avadzis Mimartebisatvis. Ts’ignshi V. Minashvili. „Lit’erat’uruli Nark’vevebi. [For the Address of Ilia Chavchavadze to Grigol Orbeliani. In the Book L. Minashvili. “Literary Essays]. Tbilisi: Tbilisis Universit’et’is Gamomtsemloba.
- Orbeliani, A. (2023a). Tkhzulebani. t’. III. Dok’ument’uri P’roza, Ist’oriuli Ts’e-rilebi, 1844-1869. [Works. Vol. III. Documentary Prose, Historical Letters, 1844-1869]. Tbilisi: „Gamomtsemloba Samshoblo“.
- Orbeliani, A. (2023b). Tkhzulebani. t’. IV. Chvenebebi, Ep’ist’oluri Memk’vidreoba, Skhvadaskhva. [Works. Vol. IV. Testimonies, Epistolary Heritage, Miscellane-ous]. Tbilisi: „Gamomtsemloba Samshoblo“.
- Orbeliani, A. (2023g). Tkhzulebani. t’. V. Chvenebebi, Ep’ist’oluri Memk’vidreoba, Skhvadaskhva. [Works. Vol. IV. Testimonies, Epistolary Heritage, Miscellane-ous]. Tbilisi: „Gamomtsemloba Samshoblo“.
- Orbeliani, G. (1989). Saghamo Gamosalmebisa. Ak’ak’i Gats’erelias Da Jumber Ch’umburidzis Redaktsiit, Shesavali Ts’erilebit, Shenishvnebita Da K’omen-t’arebit. [Evening of Farewell. Edited by Akaki Gatserelia and Jumber Ch’um-buridze, with introductory letters, notes and comments]. Tbilisi: „Merani“.
- Tsertsvadze, M. (2019). XIX Sauk’unis P’irveli Nakhevrts sakartvelos Sazogadoebrivi Garemo Nik’oloz Baratashvilis Ep’ist’oluri Memk’vidreobis Mikhedvit (Akhali Asp’ekt’ebi, K’vleva, Analizi). [The social environment of Georgia in the first part of the 19th century as reflected in the epistolary heritage of Nikoloz Baratashvili (New aspects, research, analysis)]. Tbilisi: „Meridiani“.
- Ts’ereteli, A. (2015). Tkhzulebata Sruli k’rebuli Ots T’omad. t’. VII. [Complete Collection of Works in Twenty Volumes. Vol. VII]. Tbilisi: „Sakartvelos Matsne“.
- Vakhania, N. (2012). Chveni XIX Sauk’une: Lektsiebi Kartuli Lit’erat’uris Ist’ori-idan. [Our 19th Century: Lectures from the History of Georgian Literature]. Tbilisi: „Sokhumis Sakhelmts’ipo Universit’et’i“.


ტაბ.1



ტაბ.2



სურ.1



სურ.2

